პერიოდი	შეხვედრების საერთო რაოდენობა	შეხვედრების ადგილი ქალაქი (უბანი, ქუჩა), დაბა (უბანი, ქუჩა), სოფელი	ძირითადი იდენტიფიცირებული პრობლემები	რა რეაგირება მოახდინა დეპუტატმა იდენტიფიცირებულ პრობლემებზე	რა შედეგი მოჰყვა დეპუტატის რეაგირებას, მოგვარდა თუ არა პრობლემა
პასუხები წარმოდგენილია დეპუტატის მიერ მოწოდებული სახით					
II კვარტალი 2022	12	ბოლნისი მარნეული დუშეთი გარდაბანი ახალციხე	ადგილზე გამართული შეხვედრები თემატური მოკვლევის ფარგლებში ეხებოდა ეთნიკური უმცირესობებისთვის ხარისხიანი განათლების მიღების პროცესში არსებულ გამოწვევებს. შეხვედრები გაიმართა ზოგად, სკოლამდელ და პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან (პედაგოგებთან, სტუდენტებთან) ადმინისტრაციის და ასევე ადგილობრივი სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებთან.	თემატური მოკვლევის ფარგლებში, რომელიც ეთნიკური უმცირესობების ხარისხიან განათლებაზე ხელმისაწვდომობას ეხება, იდენტიფიცირებულ იქნა გამოწვევები, რის საფუძველზეც სამუშაო ჯგუფი, ექსპერტის ჩართულობით, შეიმუშავებს რეკომენდაციებს. რეკომენდაციები, თემატური მოკვლევის ანგარიშის სახით, დაეგზავნება შესაბამის უწყებებს და რეკომენდაციების შესრულებას მონიტორინგს გაუწევს განათლებისა და მეცნიერების კომიტეტი.	თემატური მოკვლევა დასრულების ეტაპზეა, მიმდინარეობს მოძიებული მასალების დამუშავება. სექტემბრის პირველ კვირაში ანგარიშის სახით რეკომენდაციების სამუშაო ვერსია შემუშავდება, ხოლო საბოლოო ანგარიში ოქტომბერს პირველ კვირაში იქნება ხელმისაწვდომი. განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის მიერ ანგარიშში შემუშავებული რეკომენდაციების მონიტორინგი უწყებების რეკომენდაციების შესრულების პარალელურად მოხდება.